# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი / გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 29 ივნისი 1994 № 34 (109) ფასი 50 000 კუპონი

## A ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 ივნისი | აშშ | შვეიცარია | 1:1 |
| 18 ივნისი | კოლუმბია | რუმინეთი | 1:3 |
| 22 ივნისი | რუმინეთი | შვეიცარია | 1:4 |
| 22 ივნისი | აშშ | კოლუმბია | 2:1 |
| 26 ივნისი | აშშ | რუმინეთი | 0:1 |
| 26 ივნისი | შვეიცარია | კოლუმბია | 0:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |

## B ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 ივნისი | კამერუნი | შვედეთი | 2:2 |
| 20 ივნისი | ბრაზილია | რუსეთი | 2:0 |
| 24 ივნისი | ბრაზილია | კამერუნი | 3:0 |
| 24 ივნისი | შვედეთი | რუსეთი | 3:1 |
| **28 ივნისი** | **რუსეთი** | **კამერუნი** | **24.00** |
| **28 ივნისი** | **ბრაზილია** | **შვედეთი** | **24.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-6 | 3 |
| კამერუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-11 | 1 |

## C ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ივნისი | გერმანია | ბოლივია | 1:0 |
| 17 ივნისი | ესპანეთი | კორეა | 2:2 |
| 21 ივნისი | გერმანია | ესპანეთი | 1:1 |
| 23 ივნისი | კორეა | ბოლივია | 0:0 |
| 27 ივნისი | ბოლივია | ესპანეთი | 1:3 |
| 27 ივნისი | გერმანია | კორეა | 3:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| კორეა | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

## D ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 ივნისი | არგენტინა | საბერძნეთი | 4:0 |
| 21 ივნისი | ნიგერია | ბულგარეთი | 3:0 |
| 25 ივნისი | არგენტინა | ნიგერია | 2:1 |
| 26 ივნისი | ბულგარეთი | საბერძნეთი | 4:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| ნიგერია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ივნისი | საბერძნეთი | ნიგერია | 03.30 |
| 30 ივნისი | არგენტინა | ბულგარეთი | 03.30 |

## E ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 ივნისი | იტალია | ირლანდია | 0:1 |
| 19 ივნისი | ნორვეგია | მექსიკა | 1:0 |
| 23 ივნისი | იტალია | ნორვეგია | 1:0 |
| 24 ივნისი | მექსიკა | ირლანდია | 2:1 |
| **28 ივნისი** | **ირლანდია** | **ნორვეგია** | **0:0** |
| **28 ივნისი** | **იტალია** | **მექსიკა** | **1:1** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |

## F ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 ივნისი | ბელგია | მაროკო | 1:0 |
| 20 ივნისი | ჰოლანდია | საუდის არაბეთი | 2:1 |
| 25 ივნისი | ბელგია | ჰოლანდია | 1:0 |
| 25 ივნისი | საუდის არაბეთი | მაროკო | 2:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| საუდის არაბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| მაროკო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 ივნისი** | **მაროკო** | **ჰოლანდია** | **20.30** |
| **29 ივნისი** | **ბელგია** | **საუდის არაბეთი** | **20.30** |

# WorldCup USA 94

# იტალია მაინც გავიდა!

## მერვედფინალში უკვე თორმეტი გუნდია: რუმინეთი, შვეიცარია, აშშ, ბრაზილია, შვედეთი, გერმანია, ესპანეთი, არგენტინა, მექსიკა, ირლანდია, იტალია, ბელგია. ხუთი შინგაბრუნებულის ვინაობაც ცნობილია: კოლუმბია, კამერუნი, კორეა, ბოლივია, ნორვეგია

01.45 ნუხანდელი თამაშები

## რუსეთი — კამერუნი 6:1

ხუთი გოლის გამტანი ოლეგ სალენკო ბავშვობისას ალბათ ღუროვების ცნობილ ოჯახში გაიზარდა, თორემ „მოუთვინიერებელ ლომებს" ასე ვერ დაიმორჩილებდა. სალენკოს რეკორდში თბილისის „დინამოსა" და ოზურგეთის „მერცხალის" ყოფილმა მოთამაშემ ომარ თეთრაძემაც წილი დაიდო – მეოთხე გოლი მისი პასით გავიდა. თავის მხრივ როჟე მილაც შევიდა ისტორიაში როგორც მსოფლიო ჩემპიონატებში გატანილი გოლის უხუცესი ავტორი. სსრკ ნაკრების სამართალმემკვიდრე რუსეთმა კი ზუსტად გაიმეორა ოთხი წლის წინანდელი ამბავი, თუმცა ამჯერად მერვედფინალში გასვლის შანსიც აქვს – გააჩნია რა მოხდება დღეს და ხვალ D და F ჯგუფებში.

ზურაბ მეძველია

31. B ჯგუფი. III ტური. სან ფრანსისკო, 28 ივნისი

რუსეთი: ჩერჩესოვი, ხლესტოვი, ონოპკო, ნიკიფოროვი, ტერნავსკი, თეთრაძე, ციმბალარი, კორნეევი (რადჩენკო 65), კარპინი, ლედიახოვი (ბესჩასტნიხი 78), სალენკო

კამერუნი: სონგოო, ნდიპი, კალა, ტატაუი, აგბო, ლიბიპი, კანა-ბიიკი, ფოე, მფედე (მილა 46), ომამ-ბიიკი, ემბე (ჩამი 48)

1:0, 2:0, 3:0 სალენკო (16, 41, 44 პ), 3:1 მილა (47), 4:1, 5:1 სალენკო (72, 75), 6:1 რადჩენკო (82)

გაფრთხილება: კანა-ბიიკი (13), სონგოო (44), კარპინი (57), ხლესტოვი (87), ნიკიფოროვი (90)

მსაჯი: ჯ. ალ შარიფი (სირია)

„სარბიელის" რჩეული: ოლეგ სალენკო

## ბრაზილია—შვედეთი 1:1

23-ე წუთამდე ასეთი სურათი იყო, ბრაზილიელები ცენტრთან ბურთს აქეთ-იქით აგორებდნენ, შვედები კი თავიანთ ნახევარზე ელოდნენ, როდის მობეზრდებოდა მეტოქეს მოედნის სიგანეზე თამაში. 23-ე წუთზე ბროლინმა დიდებული პასი მიაწოდა კენეტ ანდერსონს, რომელმაც ბურთი ტაფარელს გადაავლო და ბადეში გაახვია. ბრაზილიელებმა ანგარიში მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გაათანაბრეს – რომარიომ კვლავ გაახარა ტორსიდა. დარჩენილ დროში გუნდები ფრთხილად გაისარჯნენ. აქა-იქ კი შექმნეს ერთმანეთის კართან სახიფათო მომენტები, მაგრამ ბოლოოდ მშვიდობით გაეყარნენ ერთმანეთს.

ილია ბაბუნაშვილი

32. B ჯგუფი III ტური. დეტროიტი, 28 ივნისი

ბრაზილია: ტაფარელი, ჟორჟინიო, ალდაირი, მარსიო სანტოსი, ლეონარდო, მაურო სილვა (მაზინიო 46), დუნგა, ზინიო, რაი (პაულუ სერჟიო 84), ბებეტო, რომარიო

შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, პ. ანდერსონი, კამარკი, ლუნგი, ლარსონი (ბლუმკვისტი 65), შვარცი (მილდი 76), ტერნი, ინგესონი, ბროლინი, კ. ანდერსონი

0:1 კ. ანდერსონი (23) 1:1 რომარიო (47)

გაფრთხილება: ალდაირი (68), მილდი (85)

მსაჯი: შ. პული (უნგრეთი)

„სარბიელის" რჩეული: პონტუს კამარკი






**რუსმა ოლეგ სალენკომ მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა: წუხანდლამდე ფინალური სტადიის ერთ მატჩში 5 გოლი არავის გაეტანა! E ჯგუფში კი დიდი ბრძოლა გაჩაღდა, რის შემდეგაც ოთხივე გუნდმა 4-4 ქულა დააგროვა. პირველობა მექსიკას ერგო, ირლანდიამ კი პირადი შეხვედრის წყალობით უკან მოიტოვა იტალია, რომელიც მერვედფინალში მაინც მოხვდა: მან უკვე აჯობა სხვა ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულ ორ გუნდს – კორეასა და რუსეთს**

შემდეგი „სარბიელი" გამოვა ხვალ, 30 ივნისს

# უნოკდაუნოდ...

## ირლანდია 0:0 ნორვეგია

29. E ჯგუფი, III ტური
ნიუ-იორკი, 28 ივნისი

ირლანდია: ბონერი, გ. კელი, მაკგრათი, ბები, სთონთონი, შერიდანი, თაუნსენდი (ვილანი 74), პავთონი, კინი, მაკეიტირი, ოლდრიჯი (დ. კელი 62)
ნორვეგია: ტორსტვედტი, პალე (იაკობსენი 34), იონსენი, ბრატსეტი, ბერგი, ბიორნებიუ, მიუკლანდი, ფლო, ლეონარდსენი (ბოპინენი 67), რეკდალი, სერლოტი

გაფრთხილება: კინი (3), პავთონი (30), სერლოტი (37), გ. კელი (83)
მსაჯი: ჯ. ტორესი (კოლუმბია)

ჰიმნების მოსასმენად ვაშინგტონის მატჩის მონაწილეები უფრო ადრე გამოვიდნენ, მაგრამ ირლანდიისა და ნორვეგიის ეროვნული ჰიმნები უფრო მოკლე გამოდგა და ეს მატჩიც პარალელურზე 11 წამით ადრე დაიწყო.

შეხვედრა ძალიან წააგავდა მოკრივეთა ორთაბრძოლას, ოღონდ მინდვრის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა დონისას. შუაგულში ფეხბურთელები ისე ირჯებოდნენ, როგორც მოყვარული მოკრივეები მეორე რაუნდში და თავდაუზოგავად იბრძოდნენ, აი, საჯარიმოებში კი სწორედ ისეთი სურათი იყო, პროფესიონალთა მე-15 რაუნდისას რომ ვხვდებით, ძალიან გინდა დაარტყა, მაგრამ ერთმანეთთან ბღლარძუნის მეტი არა გამოდის რა. ასეთ დროს კრივში ქულებს ითვლიან. ფეხბურთშიც რომ ასე იყო, კოლუმბიელი რეფერი გამარჯვებას ირლანდიას მიანიჭებდა, თუმცა ჯეკი ჩარლტონის ბიჭებს ფრეც ეყოთ.

...პირველ ტაიმში ღირშესანიშნავი საერთოდ არაფერი მომხდარა. ირლანდიელებმა, რომლებსაც დისკვალიფიცირებული მწვრთნელი ტრიბუნიდან ხელმძღვანელობდა, შეტევის მარჯვენა ფრთა აიჩემეს და აქედან მაკეიტირი და მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთში თვალშისაცემი თაუნსენდი საჯარიმოში თაურების ოსტატ ოლდრიჯის მოძებნას ცდილობდნენ, რაც რამდენჯერმე გამოუვიდათ კიდეც, მაგრამ იმ დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, შეუვალი იყო ნორვეგიელთა ვეტერანი ბრატსეტი, ვინც ოლდრიჯსა და შემდგომ მის ნაცვლად გამოსულ დევიდ კელის ბურთი თავზე არ მიაკარებინა. ამ ტაიმში სახეირო მხოლოდ 30-ე წუთზე მომხდარი ეპიზოდი იყო: პავთონს წყლის პაკეტი მიაწოდეს, ამ დროს ბურთიც მიუკიდა. რაღა დროს [illegible] იყო და პავთონმაც პაკეტიანად გაიგდ[illegible]თი, მოატყუა ერთი ნორვეგიელი, მაგრამ... მსაჯმა თამაში შეაჩერა და ყვითელ ბარათთან ერთად ისე გაკიცხა ირლანდიელი, თითქოს ის აგურით ხელში თამაშობდა.

ნორვეგიელები მეორე ტაიმისთვისღა მიხვდნენ, რომ ეს ანგარიში ხელს არ აძლევდა, მაგრა უკვე გვიან იყო. მხოლოდ ერთხელ, 74-ე წუთზე შეშფოთდნენ ირლანდიელები, როცა სამგზის ნარიკოშეტალი ბურთი ბონერის კარის ძელს ზემოდან დაეცა. მატჩის დასასრული კი საერთოდ უცნაური გამოვიდა: ერთიმეორეს მიყო-

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
რუნე ბრატსეტი
(ნორვეგია — ირლანდია)

ლებით ჯერ კინმა, მერე კი შერიდანმა შეუტიეს და მეტოქეს საფინალო შტურმის მოწყობის არანაირი საშუალება არ მისცეს. მათ დაამტკიცეს, რომ საუკეთესო დაცვა თავდასხმა ყოფილა, თუმცა ფეხბურთში ეს იშვიათი მოვლენაა.

ზურაბ მეძველია

# გახსოვთ 1982 ?

## იტალია 1:1 მექსიკა

30. E ჯგუფი, III ტური
ვაშინგტონი, 28 ივნისი

იტალია: მარკეჯანი, ბენარივო, აპოლონი, კოსტაკურტა, მალდინი, ალბერტინი, ბერტი, დ. ბაჯო (დონადონი 67), სინიორი, რ. ბაჯო, კაზირაგი (მასარო 46)
მექსიკა: კამპოსი, როდრიგესი, პერალესი, სუარესი, დელ ოლმო, ამბრისი, ბერნალი, გარსია ასპე, ზაგე, ლუის გარსია (ჩავესი 84), ერმოსილიო

1:0 მასარო (49)
1:1 ბერნალი (58)

გაფრთხილება: დელ ოლმო (25), ალბერტინი (33), ლუის გარსია (62), გარსია ასპე (67)
მსაჯი: ფ. ლამოლინა (არგენტინა)

მთელი მატჩის განმავლობაში ორივე გუნდის ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
ჯუზეპე სინიორი
(იტალია — მექსიკა)

გონებაში სატურნირო ცხრილი უტრიალებდათ. მეტოქეები მეტისმეტად ფრთხილად თამაშობდნენ, არც მაღალი ტემპისთვის მიუმართავთ და დაცვას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ. პირველი ტაიმის უმეტესი დრო ისე მიილია, მეტისმეტად ამაღელვებელი არაფერი მომხდარა, ბურთი ძირითადად საჯარიმოების მისადგომებთან, ან სულაც ცენტრზე ოდნავ წინ იკარგებოდა. 25-ე წუთზე ბერტის მარცხნიდან ჩაწოდებულზე სინიორიმ მაკრატელა დაარტყა, მაგრამ კამპოსი არ შედრკა. ტაიმის ბოლოს გარსია ასპეს ძლიერი დარტყმა მარკეჯანიმ აილო.

მეორე ტაიმში კაზირაგი მასარომ შეცვალა და ხელადვე გაახარა იტალიელები, მაგრამ შვიდ წუთში ბერნალმა მათ ზეიმს ბოლო მოუღო. ბუდისტმა რობერტო ბაჯომ, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე ნირვანამიღწეულივით გაბრუებული იყო მხოლოდ ორჯერ შექმნა სახეირო მდგომარეობა, მაგრამ კამპოსის კარი ხელუხლებელი დარჩა. ბოლო ოც წუთში თვალსასეირო არაფერი მომხდარა, თუ ბერტის უზუსტო თაურს არ ჩავთვლით 89-ე წუთზე.

ამგვარად, 4 ქულით და 3-3 გატანილ მიღებული ბურთით მექსიკა ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. ამდენივე ქულა დააგროვეს დანარჩენმა გუნდებმაც და ბურთების სხვაობაც ოთხივეს ერთნაირი, ნულოვანი აღმოაჩნდა, მაგრამ მათ სამხრეთამერიკელებზე ნაკლები შეაგდეს და ცხრილში მათ ქვემოთ განაწილდნენ. ნორვეგიელებმა მხოლოდ ერთხელ გაიტანეს გოლი და ამიტომაც შინ დაბრუნებამ მოუწიათ, ერთნაირმაჩვენებლიანი ირლანდიელებისა და იტალიელების ბედი მათმა ურთიერთშეხვედრამ გადაწყვიტა. ირლანდიამ პირველ [illegible] 1:0 მოუგო მეტოქეს და ამის წყალ[illegible]ით მეორე ადგილი დაიკავა. „სკუადრა ა[illegible]ს" საქმე კი დაღებითად შეიძლება წუხელვე გადაწყვეტილიყო: იტალიელები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დალოდებოდნენ F და D ჯგუფის ბოლო მატჩებს, თუ B ჯგუფში კამერუნი 3 ბურთის სხვაობით მოუგებდა რუსებს.

ჯგუფიდან ძლივსგასულმა იტალიამ მერე როგორი თამაში იცის, ეს 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გვახსოვს.

ილია ბაბუნაშვილი

STRIKER News

პოლანდიის ნაკრების ქართველი ფანები მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში კვლავ ერთხელ გაწბილდნენ. გაირკვა რომ მრავალგზის დაშავებულსა და ნაოპერაციებ მარკო ვან ბასტენს კოჭზე კიდევ ერთი ოპერაცია ელის, რის გამოც კიდევ ექვსი თვე გაუცდება. როგორც თვად მარკომ განაცხადა, ახლა კი ნაღდად დამთავრდა ჩემი კარიერაო. გულიტის ჭირვეულობის შემტყობმა ადვოკატმა ერთი პირობა გუნდში ვან ბასტენის შეყვანა დააპირა, მაგრამ საქმეში „მილანი" ჩაერია და თავის მონმორჩილს ნაკრებში თამაში აუკრძალა. აქაოდა ისე ხარ დაშავებული, რომ თავს დაიღუპავ და აღარც ჩვენ გამოგვადგებიო.

ფიფამ ბოლოსდაბოლოს ათხოვა ყური მწვრთნელთა, მეტადრე კი ჯეკ ჩარლტონის ჩივილს და თუმც წყლის დასალევი პაუზები არ დაუშვა, მაგრამ გუნდებს ნება დართო, რომ წყლიანი პაკეტები შეუზღუდავად შეიტანონ მოედანზე. ირლანდიელები კმაყოფილნი დარჩენილან.

ნიგერიელები „სუპერარწივების" ჰოლანდიელ მწვრთნელ კლემენს ვესტერჰოფს ორიგინალური იდეები ჰქონია. მისი აზრით, ფეხბურთში მოგება-წაგება უმნიშვნელო ყოფილა. მთავარი თამაშის ხარისხია — ხალხი ფულს იმიტომ იხდის, სეირს რომ უყუროს, ამიტომ ჩვენ წაგების არ გვეშინიაო!

დეტროიტის „პონტიაქ სილვერდოუმი" თავისი სახურავიანობით ყველა სტადიონისაგან გამორჩეულია. შვედეთ-რუსეთის თამაშისას გარეთ წვიმდა, ფეხბურთელები კი ჭერქვეშ არხეინად თამაშობდნენ. თუმცა კი რაღა არხეინად, თუ დახურულ დარბაზში სირბილით იმდენ ტენს კარგავენ, რომ წონაშიც იკლებენ და მატჩის შემდეგ მოშარდვაც უჭირთ. ასე მაგალითად შვეიცარიელებმა რუმინეთის ძლევას 4,5 კილო სისხლი და ხორცი შეალიეს, შაპუიზამ კი იმდენი სითხე დაკარგა, რომ დოპინგ-სინჯის გაცემის წინ ერთი გალონი ანუ 3,7 ლიტრი უალკოჰოლო ლუდის დალევა დასჭირდა, ვიდრე სხეულიდან ღვთიურ სითხეს გამოაქცევდა.

კოლუმბია თავიდან ფავორიტად მიაჩნდათ, აშშ-ში გუნდი გმირების კრებულად ჩასულა, მოთამაშეები ერთობ უქია პელეს, ვარსკვლავთა სურათები კი ჟურნალების ყდებზე ებეჭდა. გავარდნის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: მწვრთნელ მატურანს მავანნი ურეკავენ და მოკვლით ემუქრებიან. ამანაც ვაჟკაცურად აღიარა, ყველაფერი ჩემი ბრალია და გადავდგებიო.

ფიფა-ს თურმე ერთობ აწუხებს ის რომ მცველები თავდამსხმელებს რომ წამოეწევიან, უკნიდან ურტყამენ და ისე სცელავენ. ფეხბურთის მამებს განუცხადებიათ, იმ მსაჯებს რომლებიც მცველთა ასეთ საქციელს ვერ აღკვეთავენ, პირველი ეტაპის შემდეგ შინ გავაგზავნითო.

იტალიელი პალიუკა შეიქნა პირველი მეკარე, ვინც მსოფლიო პირველობის ფინალურ სტადიებზე გაუძევებიათ. კამერუნელი მილა, რომელიც ბრაზილიასთან შემცვლელად შევიდა, ამავე სტადიების მონაწილე უხუცესი ფეხბურთელი გახდა. აქამდე ასეთად დინო ძოფი მიაჩნდათ. ისე კი კამერუნელებს ბრაზილიელები თურმე კერპებად შეერაცხათ. საქმე ისე სერიოზულად ყოფილა, რომ კამერუნში უამრავ ბავშვს თურმე ბრაზილიელ ფეხბურთელთა სახელები ჰქვია.

ბელგია და ჰოლანდია მეზობლები კი არიან და ერთურთთანაც უამრავჯერ უთამაშიათ, მაგრამ ასოკირკიტა მეისტორიეებმა შენიშნეს, რომ ამ ჩემპიონატამდე მეზობლები ერთმანეთს ფეხბურთის მოედანზე მთელი რვა წელია აღარ შეხვედრიან.

დისკვალიფიცირებულ-დაჯარიმებულ ჯეკი ჩარლტონს გამოექომაგა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია და განაცხადა, რომ თავისი დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრის ქცევით ერთობ კმაყოფილია.

გაგანია ჩემპიონატში გამოცხადდა, რომ დინო ბაჯო „იუვენტუსიდან" „პარმაში" გადავიდა.

იტალიელთა და ნორვეგიელთა ბედი გუშინ გაირკვა, თუმცა უინტერესო არც მათი გუშინწინდელი განწყობილება იყო...



რკინის ნერვები და შავი სათვალე: იტალიელთა მწვრთნელი ყველა მოულოდნელობისთვის მზადაა. პინგრის სკოლის საკონფერენციო დარბაზში კი, სადაც მზის სხივები ვერ აღწევს, შუბლზე აწეული სათვალე მაინც მზადყოფნაში აქვს. ვარჯიშის შემდეგ იძულებულია უკვე მერამდენედ აუხსნას მედიის მსახურთ, როგორ და რატომ გადაწყვიტა, ერის რჩეული და საყვარელი შვილის რობერტო ბაჯოს მოედნიდან გამოყვანა და საერთოდ რას აპირებს მსოფლიო ჩემპიონატზე. საკმაო ხანია, ჟურნალისტებმა „იდუმალებით მოსილი არიგო" შეარქვეს, ირლანდიასთან წაგების შემდეგ კი „კატასტროფადაც" მონათლეს. „კრიტიკა თამაშის ნაწილია" — განაცხადა ნორვეგიასთან გამარჯვების შემდეგ კოცნითა და მხარზე ხელის ტყაპუნით შეწუხებულმა საკიმ. „პოზიტიური კრიტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხარზე ხელის დაკვრა. ის მეხმარება სწორი დასკვნების გაკეთებაში". მეგობრულად მოღიმარი საკი ყველა კითხვას პასუხობს და საქმის არსზე ისე საუბრობს, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სიტუაციას

# იდუმალი არიგო

აკონტროლებს. წაგების შემდეგ მხოლოდ მავანთა უხამსმა შენიშვნებმა დაავიწყა წამიერად თავისი იმიჯი: მოიღუშა და მკაცრი ტონით წარმოთქვა: — Capisce — „შეიგნეთ".

საკი მერამდენედ იმეორებს, რომ მისთვის ლამაზი თამაში შედეგზე უფრო მნიშვნელოვანია: „ფეხბურთი სანახაობაა". ის კი რეჟისორია, რომელსაც სურს თავის დასი მსოფლიოს თასისაკენ მიმავალ გზაზე დააყენოს. ვარჯიშზე, ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ფეხბურთელების გარდა ახლოს არავის იკარებს. „საკი გთხოვთ, მოედანს ნუ მიუახლოვდებით" — გვეუბნება მთარგმნელი. მცირე პაუზების დროს საკი მუცლის კუნთების ვარჯიშითაა დაკავებული. წინა მატჩით კიდევ ერთხელ დაგვანახვა, ვის ეკუთვნის აქ ბოლო სიტყვა. ვნახოთ რას შემოგვთავაზებს „იდუმალი არიგო".

# თამაში და გართობა ნორვეგიულად

„რუნე" — შესძახა წრეში მდგარმა კაცმა და კაპიტნის სამკლაური ბრატსეტს გაუწოდა. ექოსავით აყვნენ მას ნაკრების სხვა წევრებიც. სპონსორებიც დიდი სიამოვნებით იმოწმებენ ნაკრების კაპიტანს, როცა საქმე მათი ნაწარმის ავკარგიანობაზე მიდგება. აყლაყუდა ლიბერო მსახიობივით ირჯება სარეკლამო ფირზე: ერთი ხელი სალათისთვის დაუკლია, მეორე — ყვავილოვანი კომბოსტოსთვის. თან იმ ტრიბუნაზე დგას, საიდანაც, ჩვეულებრივ, ნაკრების მწვრთნელი ეგილ ოლსენი თავის საფეხბურთო ფილოსოფიას ღაღადებს ხოლმე.

ბრატსეტს ბევრი რამ უჭირავს თავის ხელში: მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის სპონსორობა უალკოჰოლო ლუდის მხარშველ ფირმას სურდა, ეს წინადადება კი რუნემ შორს დაიჭირა — ყველას არ შეუძლია გაარჩიოს, ლუდი ალკოჰოლიანია თუ არაო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თუ სპონსორები მელუდეები იქნებიან, ჩემი ფეხი არ იქნება ნაკრებშიო. გაუვიდა კიდეც. როცა საქმე მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, ხალისიანი ნორვეგიელი ღრჯო კაცად გარდაისახება ხოლმე.

„თავისუფალ დროს ფეხბურთზე საერთოდ არ ვფიქრობთ", — განმარტავს ბრატსეტი პარტნიორებისა და მწვრთნელის აუღელვებლობის მიზეზს. თამაშის შემდეგ ფეხბურთელები დროს ატარებენ მეუღლეებთან და მეგობარ გოგონებთან, რომელთა ამერიკაში ყოფნის ერთი კვირის ხარჯებს ფედერაცია ანაზღაურებს. იტალიელებივით გამოკეტილი რომ ყოფილიყო, რუნე ბრატსეტი ამ ტურნირს ვერ გადაიტანდა. „თითქოს ციხეში ისხდნენ" — ქილიკობს იტალიელ ვარსკვლავებზე. „ჩვენ დავითისა და გოლიათის კომპლექსი აღარ გვაწუხებს" — ხშირად იმეორებს ნორვეგიელთა 33 წლის კაპიტანი დიდი საფეხბურთო ქვეყნების გუნდებთან შეხვედრების წინ.



193 სანტიმეტრი სიმაღლის ბრატსეტი გუნდში ყველაზე აღნაგია. დაულალავად დაქრიან ნორვეგიელი გოლიათები ამერიკის მცხუნვარე მზის ქვეშ. „ასე ვთამაშობთ და სხვაგვარად არც გვსურს. ინდივიდუალურად არ ვბრწყინავთ, მაგრამ გუნდი იდეალურადაა ორგანიზებული." — მიაჩნია რუნეს.

ულრიჰ ლ[illegible]
ჩიკაგოდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

PERSONA GRATA



# ხორხე კამპოსი

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მეკარეები სიმაღლის მიხედვით რომ დაამწკრივო, ბოლო უეჭველად 27 წლის მექსიკელი ხორხე კამპოსი იდგება. ალბათ გახსოვთ პირველ მატჩებში ამ ჩია კაცს ახმახმა ნორვეგიელებმა ნახევარი თამაში ჰაერში რომ გაატარებინეს. მაინც ვინ არის ეს კამპოსი? ვინ არის და თავდამსხმელი. ნუ დაიბნევით, საქმის არსს ეხლავე აგიხსნით. 1989 წელს უ.ნ.ა.მ.-ის (მეხიკოს უნივერსიტეტის კლუბი) მეკარე ხორხე კამპოსი საბოლოოდ მიხვდა, რომ მი-

## მექსიკის ჩია მეკარე

სი საფეხბურთო ნიჭი კარში ვერ ეტეოდა და გუნდის მწვრთნელს თხოვა, წინ მათამაშეო. დიდი კამათის შემდეგ მწვრთნელი დაყაბულდა და კამპოსმაც თავდასხმაში გადაინაცვლა. ეს თითქოსდა უცნაური ამბავი იმით დასრულდა, რომ იმ სეზონში გათავდამსხმელებულმა გოლკიპერმა 14 ბურთი შეაგდო და უ.ნ.ა.მ.-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, აგერ უკვე მეექვსე წელიწადია კამპოსი სეზონს ისე არ უშვებს, სულ მცირე ექვსი გოლი არ გაიტანოს. მეკარე როგორღააო, იკითხავთ თქვენ. როგორ და ხორხე შეხვედრათა ნახევარს კარში ატარებს, ნახევარს კი წინ. თუმცა ყოველთვის ასეც არ არის. 1993 წლის ნოემბერში იგი ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის პრიზით დაჯილდოვდა, თუმცა იმ თვეში კარს მხოლოდ ორჯერ იცავდა. აი რას ამბობს მასზე ნაკრების მწვრთნელი მიგელ მეხია ბარონი: „კამპოსისთვის კარის ნდობა ერთის მხრივ საუკეთესო გამოსავალია, მაგრამ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული. მას კარიდან შორს გასვლა უყვარს და ერთხელაც იქნება ვინმე დასჯის. თუმცა მაინც ასე ვამჯობინებ, რადგან იგი მეტისმეტად მკვირცხლია და უკან ჩარბენას ასწრებს ხოლმე“.

სრულად თავისი ნიჭი კამპოსმა შარშანდელ „კოპა ამერიკაზე“ გამოავლინა. ეკვადორში, სადაც ჩემპიონატი ტარდებოდა, მექსიკა ფინალში გავიდა, იქ კი არგენტინასთან დამარცხდა. მთელი შეჯიბრების განმავლობაში ხორხე შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ გულშემატკივარს გულსაც უხეთქავდა. როდესაც მექსიკელები უტევდნენ, იგი კარიდან 30-40 მეტრით გადიოდა. არგენტინელმა რედონდომ ორჯერ ლამის გოლიც შეუგდო კარის უმეთვალყურეოდ მიმტოვებელს, მაგრამ... ლამის არ ითვლება.

კამპოსი ნაკრებში პირველად იმხანად მექსიკაში მომუშავე არგენტინელმა ლუის მენოტიმ მიიწვია. „ჩვენ ერთმანეთს საუცხოოდ გავუგეთ — ამბობდა მენოტი — იგი ოცდამეერთე საუკუნის მეკარის პროტოტიპია. ხალხი სტადიონებზე მისნაირთა სანახავად დადის“.

ხალხი მხოლოდ სტადიონებზე არ დადის. ყველა ვერ ეტევა და იმიტომ. ხალხი ტელევიზორებსაც რთავს, ასე რომ აგერ ჩვენ და აგერ კამპოსი...

ჰო მართლა, ხორხე კამპოსი სერფინგის დიდოსტატია. მას ცოტა და[...]ოდა ნორმატივის შესრულებამდე, თორემ ამასწინათ ლოს ანჯელე[...]ან მდებარე მელიბუში გამართულ მსოფლიოს პირველობაშიც მიიღე[...] მონაწილეობას.



# ფილიპ ალბერი

დაიბადა 1967 წლის 10 აგვისტოს

კლუბები: „შარლერუა“, „მეხელენი“, „ანდერლეხტი“

მიღწევები: 1993 წლის ბელგიის ჩემპიონი, 1992 წლის ბელგიის „ოქროს ბუცის“ (წლის საუკეთესო მოთამაშე) მფლობელი.

## „ჰობი“: ყვითელი ბარათები

როგორც იცით, „[...]ელს“ სტრაიკერმა შეატყობინა, რომ ტეხასელ ნათელმხილველს, გვარად ბასკერვილს უთქვამს ჩემპიონი ნარინჯისფერი გუნდი გახდებაო. ამერიკელი მჩხიბავის კვალიფიკაციას 17 ივლისს ლამეს დავადგენთ, მაგრამ გახდება ჰოლანდია ჩემპიონი თუ ვერა. მის მოთამაშეებს, მეტადრე კი იან ვაუტერსს, ბელგიელი მცველი ფილიპ ალბერი ალარასოდეს დაავიწყდებათ. სწორედ ალბერი გახლდათ ის კაცი, რამდენიმე დღის წინ ბასკერვილის ხილვათა ობიექტს გოლი რომ გაუტანა და სამი ქულა აართვა, ხოლო თუ პირადად ვაუტერსი რა შუაშია, იმ თამაშის მნახველ გულშემატკივარს ამის შეხსენება არ სჭირდება.

ბელგიის ნაკრებში ფილიპ ალბერის დებიუტი 1987 წლის აპრილში, ირლანდიაში შედგა. „წითელი ეშმაკები“ მაშინ 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ჩალიჩობდნენ. ამ მატჩში ალბერმა ურიგოდ არ ითამაშა, თუმცა ნაკრებს წელიწადნახევრით დაემშვიდობა. მეორედ ეროვნული გუნდის მაისური მას ბრატისლავაში ჩააცვეს. იმ შეხვედრას მიმომხილველებმა ჯოჯ[...]ური უწოდეს, რადგან მასპინძლებმა ბელგიელებს 90-წუთიანი იერ[...]ა [...]უწყვეს, მაგრამ სტუმრებმა გაუძლეს ჯოჯოხეთს და მატჩი ფრე[...] 1:0 დაამთავრეს. ეს ქულა მათ 1990 წელს იტალიაში გასამგზავრებ[...] გამოადგათ. გი ტისმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბერიც [...], მაგრამ მაინც ვერ ენდო და ძირითად შემადგენლობაში ლეო კლისტ[...] გამოყავდა. ასე უყურა ალ[...]ერმა იტალიის ჩემპიონატს სათადარიგოთა სკამიდან, დღეს კი სხვა ამბის ძოწმენი ვართ. დღეს ფილიპს მრავალნი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მცველად მიიჩნევენ. ის მაღალია და საჰაერო ბრძოლებში არავის ახარებს, გამოირჩევა შესაშური ენერგიით, გონივრული თამაშით, პროფესიონალიზმით და თავდადების უნარით, ზუსტად გრძნობს, როდის უნდა გარისკოს და ჩაერთოს შეტევაში, მაგრამ უარყოფითი თვისებაც აქვს. ამბობენ, ამ უარყოფითი თვისების გამოა, ჯერჯერობით ევროპის სუპერკლუბებში რომ არ თამაშობსო. საუბარია ყვითელ ბარათებზე, ალბერს თითქმის ყოველ შეხვედრაში „გამოწერილი“ რომ აქვს. „ანდერლეხტისა“ და „პარი სენ ჟერმენის“ მატჩში მის მოედნიდან გაძევებას მარტო პირადი დისკვალიფიკაცია კი არ მოჰყვა, ბევრმა „ანდერლეხტის“ უეფა-ს თასიდან გამოვარდნაში სწორედ ალბერს დასდო ბრალი, ცოტა ფრთხილად რომ გეთამაშა, გუნდში იქნებოდი და არ წავაგებდითო. ასეთ საყვედურს ფილიპი ხშირად ისმენს, მაგრამ მაინც იყო ერთი შემთხვევა, ნაკრების მწვრთნელმა პოლ ვან ჰიმსტმა ხმა რომ არ ამოიღო. შარშან, 17 დეკემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩეხეთსლოვაკეთის გუნდთან ალბერმა ერთი გაუმართლებელი ყვითელი ბარათი მაინც მიიღო, მაგრამ ორი წუთის შემდეგ „საჭირო“ საქმე ჩაიდინა, მეტოქის ფეხბურთელს კადლეცს დაეტაკა და დააშავა. მართალია იგი გააძევეს, მაგრამ...

ფილიპ ალბერის ფეხბურთელად ჩამოყალიბება 1985 წლიდან დაიწყო. თავიდან იგი მშობლიური არდენესის არაფრისმთქმელ გუნდს „სტანდარდ ბუიონში“ თამაშობდა და მისი პროვინციის საუკეთესო გუნდ „ლორან არლონში“ გადასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ მის ოცნებას ახდენა არ ეწერა. თვრამეტი წლისა იგი „შარლერუაში“ შესამოწმებლად დაიბარეს და ტესტის შემდეგ განუცხადეს: არდენესის ტყეებში ხეტიალი კარგია, მაგრამ თუ ჩვენთან დარჩები, დიდ ფეხბურთს გათამაშებთო. თანდათან ალბერმა პატიოსანი, მუყაითი და კარგი მოთამაშის სახელი დაიგდო. იმ პერიოდში ფლანდრიულად მწერალ სპორტულ ჟურნალისტებს დიდი კამპანია ჰქონდათ გაჩაღებული, ნაკრებში ფლანდრიულენოვანი მოთამაშეები აიყვანეთო, ფრანგულად მწერლებს კი საპირისპირო ეშმაკი ჰყავდათ შეჩენილი. ამ აურზაურში მიშელ პრიუდომმა გი ტისს ყველაფრის მიუხედავად გუნდში ვალონელთა იმედის, თავისი მეგობრის ფილიპ ალბერის აყვანა ურჩია. მწვრთნელმა ყურად იღო მეკარის თხოვნა და პირველ დივიზიონში ორი წლის თამაშის შემდეგ ახალგაზრდა მცველი ეროვნულ გუნდში მოხვდა, თუმცა ამაზე უკვე გესაუბრეთ. 1991 წელს აშკარა შეიქნა, რომ ალბერს „შარლერუას“ ალარავინ დაუტოვებდა. ერთდროულად გააქტიურდნენ „ანდერლეხტი“ და „ბრიუგე“, მაგრამ მოთამაშემ... „მეხელენი“ აირჩია. „იქ მიშელ პრიუდომი თამაშობდა და ჩემი არჩევანი ამან განაპირობა — თქვა ფილიპმა — მე მჭირდებოდა დამრიგებელი და საყრდენი, მიშელი კი მეგობრებისთვის არაფერს იშურებს. მას ამაგს ვერასდროს დავუვიწყებ“.

სამი წლის შემდეგ ალბერი კვლავ არჩევანის წინაშე დადგა. მას „იუვენტუსი“ და „ბენფიკა“ იწვევდნენ. მოთამაშემ... „ანდერლეხტი“ აირჩია.



# მარტინ დალინი

დაიბადა 1968 წლის 16 აპრილს

კლუბები: ლუნდს სკ, მალმიო, მიონხენგლადბახის ბორუსია

## ლოგინშიც მაგარი ვარ

ამბობენ, შვედეთის ნაკრები ამერიკას რომ გაემგზავრა, ეს მარტინ დალინის დამსახურებააო. დალინმა შესარჩევ ჯგუფში შვიდი გოლი გაიტანა. როდესაც გასული წლის დეკემბერში ლას ვეგასში გამართულმა კენჭისყრამ მისი გუნდი ბრაზილიელთა, კამერუნელთა და რუსთა კამპანიაში მოახვედრა, სხვებისგან განსხვავებით დალინმა ეს ამბავი არ შეიცხადა. სანერვიულო არაფერი მაქვს, ყველას ძალა და უნარი კარგად ვუწყიო, თქვა ფერადკანიანმა შვედმა და ერთ-ერთი ქალთა ჟურნალის გარეკანზე დედიშობილა გამოიჭიმა. ჟურნალში მარტინთან ინტერვიუც იყო დაბეჭდილი, სადაც იგი კორესპონდენტს საყვედურობდა: „რატომ არ კითხავთ ჩემს მეგობარ ქალს, ლოგინში როგორი ვარ?“ ვენესუელელი მამისა და შვედი დედის ვაჟი სამშობლოში ერთობ პოპულარულია. გარდა იმისა, რომ იგი უყვართ როგორც ფეხბურთელი, მას მოდურ ბიჭადაც თვლიან. უფრო ზუსტად რომ ავხსნათ, თბილისელი გოგოები რომ იტყვიან, რა მაგარი ტიპიაო, ისეთად მიაჩნიათ.

მარტინ დალინმა ბურთს ფეხი პირველად 16 წლისამ გაკრა. მანამდე იგი კალათბურთს და ხელბურთს თამაშობდა. თავიდან მშობლიური ქალაქის გუნდ „ლუნდ სკ“-ში გამოიჩინა თავი, საიდანაც „მალმიომ“ თავისთან მიიწვია. ეს 1986 წელს მოხდა, ორი სეზონის შემდეგ კი მარტინი შვედეთის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 1991 წლის ნოემბრამდე მან „მალმიოს“ შემადგენლობაში 175 მატჩი ჩაატარა და 84 გოლი გაიტანა. ბოლო სეზონში 22 შეხვედრაში 23-ჯერ შეაგდო ბურთი და უცხოელ მენეჯერთა ყურადღება მიიპყრო. ჯერ თანამემამულე სვენ-გორან ერიქსონი „ფიორენტინაში“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მწვრთნელი თავად გადავიდა „ბენფიკაში“ და დალინსაც მიონხენგლადბადის „ბორუსიას“, „ევერტონს“ და „შეფილდ იუნაიტედს“ შორის არჩევა მოუხდა. ფეხბურთელმა „ბორუსია“ არჩია. გერმანულ კლუბში თავიდან საქმე კარგად ვერ აეწყო, იგი ხომ შესვენების გარეშე პირდაპირ ახალ ჩემპიონატში ჩაერთო (შვედეთში პირველობა გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით ტარდება, გერმანიაში კი პირიქით), ამას ძველი ტრავმის გამიზეზებაც დაერთო, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდა, მეტადრე მას მერე, რაც გუნდს სათავეში ბერნდ კრაუსი ჩაუდგა. დღეს დალინი ბუნდესლიგის ვარსკვლავია, რომელსაც საშუალოდ ორ მატჩში ერთი გოლი გააქვს. იგი არ აპირებს „ბორუსიაში“ დიდხანს დარჩენას და ფასიც კარგი დაიდო — თუკი ვინმე მარტინის შეძენას მოისურვებს, ოთხი მილიონი დოლარი მზად უნდა ჰქონდეს.

გვერდი მოამზადა ილია ბაბუნაშვილმა



# სარბიელი

## ფეხბურთის მოყვარულთა ახდენილი ოცნება!

გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი «მესეფი»

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ორ პარალელურ არხზე!

ზიდასაკაბელო ქსელის საშუალებით ნებისმიერი მატჩის ვიდეოჩანაწერის ჩვენება სტუმართა სურვილით!

დენის გამორთვა დაზღვეულია ავტონომიური ენერგომომარაგების სისტემით!

თანამედროვე დონის კაფე-ბარის მრავალფეროვანი ასორტიმენტი!

პირველხარისხოვანი სერვისი და მაქსიმალური კომფორტი!

გაზეთ «სარბიელის» ტოტალიზატორი CROCO!

ერთჯერადი ბილეთის ფასია 3 000 მანეთი

## გვეწვიეთ სასტუმრო «აჭარის» მე-18 სართულზე

პირველი ივლისიდან ტოტალიზატორი „კროკო“ იმუშავებს 17-დან 19 საათამდე, მატჩების მსვლელობისას — ძველებურად, კლუბ „მესეფში“


## ჩოგბურთი

# თორმეტმილიონიანი პერანგის ამხანაგი

ლონდონში ხმა დაირხა: მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს პიტ სამპრასს სპორტული სამოსის ამერიკულმა ფირმამ „ნაიკმა“ უიმბლდონის ტურნირისთვის მუხლებამდე ქვედა საცვალი შეუკერა და თანაც, ამაში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადაო. სამპრასმა ცხადია, უარყო ეს, თუმცა აღნიშნა, რომ მართლაც მიუმართავს თხოვნით „ნაიკისთვის“. ფირმაც, ბუნებრივია, დათანხმებულა და ახლა აპირებს ფულის შოვნას „ნაიკ-სამპრასის“ მოდელის შორტების დიდი პარტიის გაყიდვით.

ამასობაში სამპრასმა მეოთხე წრეც ადვილად დაძლია (დაამარცხა ჩეხი დანიელ ვაცეკი 6:4, 6:1, 7:6) და ნახევარფინალში გასასვლელად თანამემამულე მაიკლ ჩანგს (განთესვის ნომერი 10) შეხვდება. ჩანგმა მოუგო ესპანელ ხერხი ბრუგერას (8) — 6:4, 7:6, 6:0. ანდრე აგასიმ (12) წააგო ტოდ მარტინთან (6) — 3:6, 5:7, 7:6, 6:4, 6:1. სამხრეთაფრიკელმა ვეინ ფერეირამ შვედი იონას ბიორკმანი დაამარცხა 6:3, 7:6, 4:6, 6:3, ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა — რუსი ალექსანდრე ვოლკოვი 7:6, 7:6, 4:6, 6:2. 29 წლის გი ფორჟემ (საფრანგეთი), უკანასკნელი მასპინძელთაგანი ჯერემი ბეითსი შეიწირა 2:6, 6:1, 6:3, 6:1.

მარტინა ნავრატილოვამ (4). მეოთხე წრეში ჩეხი ჰელენა სუკოვა გაანადგურა — 6:1, 6:2. სენსაცია მოახდინა ამერიკელმა ზინა გარისონ-ჯექსონმა: სამ ხელში მოუგო არანტა სანჩესს. მეორე ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა (3) ამერიკელ რედფორდს სძლია 3:6, 6:3, 6:4, ხოლო კიდევ ერთმა ჩეხმა, შარშანდელმა ფინალისტმა იანა ნოვოტნამ (5) — იაპონელ ნაოკო სავამაცუს 6:3, 6:3. ამერიკელმა ლინდსი დავენპორტმა (9) არგენტინელ გაბრიელა საბატინის (10) მოუგო 6:1, 6:3. მეოთხედფინალში არიან ლატვიელი ლარისა ნეილანდი და ამერიკელი ჯიჯი ფერნანდესიც.

## რაგბი

# ახალი ზელანდია 8 საფრანგეთი 22

ქრაისთჩერჩის „ლანკასტერ პარკზე“ კვირას, 26 ივნისს პირველი ტესტი მოულოდნელად დასრულდა: მანამდე ფრანგებს 1961, 1968, 1979, 1984 და 1989 წლების ტურნეებზე, აგრეთვე 1986 და 1987 წლებში ახალ ზელანდიაში 14 ტესტი გაემართათ და ერთი შემთხვევის გარდა ყოველთვის წაეგოთ. ის ერთი გამონაკლისი 1979 წლის ივლისში ყოფილა, როცა „მამლებმა“ ბასტილიის აღების დღეს „ოლ ბლექსს“ ოკლენდში 24:19 მოუგეს.

სტუმრებმა სამი არეკნი შეაგდეს: ორი — დელომ, ერთიც — სადურნიმ. მორკინალთაგან თავი გამოუჩენია ბურჯ ბენეზეშს. გარემარბი ნტამაკი თურმე სახიფათოდ უტევდა, შუამარბ ფილიპ სელას კი დაცვაში დიდებულად უთამაშია.

სელა იუბილარი ყოფილა. მას ამ დღეს მესხე კეპი მოუხვეჭია და თავისივე მსოფლიო რეკორდი გაუუმჯობესებია. „ოლ ბლექსის“ გარემარბ ჯონ კრვინს 59-ე კეპი მიუთვლია, რაც ახალი ზელანდიის რეკორდი ყოფილა. კაპიტან შონ ფითსპატრიკს სულ 57-ედ, ზედიზედ კი 55-ედ უთამაშია ტესტებში, რაც აგრეთვე მსოფლიო რეკორდია. და კიდევ, „ოლ ბლექსს“ მარცხენა გარემარბად გამოუყვანია 196 სანტიმეტრი სიმაღლისა და 112 კილოიანი ჯონ ოლომო, რომელიც ყველა დროის უმრწემესი ოლბლექსელი გამომდგარა — დებიუტის დღეს 19 წლისა და 45 დღისა ყოფილა.

სხვა ტურნეები: შაბათი, 25 ივნისი
მელბურნი. ნვიმა. მეორე ტესტი. ავსტრალია 20 (ლ: კემპიზი; 5ს: ვოლისი) — იტალია 7 (ლ: ორლანდო; გ: „ვოლაბებს“ აკლდათ დაშავებულები: ლაინაფი, პორანი და ლითლი. იტალიის ტურნეს შედეგი: მ 7, მ 5, წ 2; ტესტ-სერია 0-2, ბ 27:43, ლ 2:3
აპია. ტესტი. სამოა 34 (3ლ: ლიმა-2, ლამი; 2გ, 5ს: კელეტი) — უელსი 9 (3ს: ნ. ჯენკინსი). უელსმა მანამდე კანადასა და ზღვისრეთში ოთხივე თამაში მოიგო
პუკეკოე (ახალი ზელანდია). სამხრეთი ოკლენდის საგრაფოები 26 (20) (2ლ, 2გ, 4ს) — სამხრეთი აფრიკა 37 (15) (5ლ: ი. რუ-2, პ. ლერუ, ფენტერი, სტროილი;..) მასპინძლები მე-9 წუთზე 14:0 იგებდნენ
სამშაბათი, 28 ივნისი. ველინგტონი 26 — სამხრეთი აფრიკა 36 (4ლ: ვანრენსბერგი, ფენტერი, სტრაუსი, ალენი;..)

## ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ჯგუფი

XVII ტური. 15 ივნისი

**ბათუმი 1:1 კოლხეთი**

ბათუმი, სტადიონი „დინამო“

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე (ი. მახარაძე 52), შეყილაძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი, ტულუში, კანტიძე.

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, ლალანიძე, მაჭავარიანი, ქუნთელია (თიბილაშვილი), ცომაია, კიკლიაშვილი, გოროზია, ბულუხია, დარასელია (ტორჩინავა), ჩხაიძე.

0:1 მიქაბერიძე (24)
1:1 მაჭუტაძე (80 პ)

გაფრთხილება: მუჯირი, თიბილაშვილი
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ტორპედო 2:1 გურია**

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, თურმანიძე (ჭინჭარაძე 60), გიორგობიანი, მაღლაკელიძე, კვეტენაძე (ხუჭუა 60), ვაჩიბერაძე.

გურია: კუნჭულია, რ. ნარიაშვილი (მაჩიტიძე 46), განიევი, პატარაია, ბუცურეიშვილი, იმნაძე, კვინტრაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე (ჭყონია 41), ფრიდონაშვილი, გამცემლიძე.

1:0 მაღლაკელიძე (64)
2:0 ჭინჭარაძე (72)
2:1 ფრიდონაშვილი (80)

პენალტი ვერ გაიტანა ჩხაბერიძემ (31)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**სამტრედია 4:1 ივერია**

სამტრედია, ე. მანჯგალაძის სტადიონი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი (ჩომახიძე 80), გენძეხაძე, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია.

ივერია: გვენცაძე, ტოგონიძე, მაღრაძე, ლომიძე, ნარმანია, ტყემალაძე, მაქაცარია, ბაკურაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

1:0 იონანიძე (25)
2:0 ამაშუკელი (42)
2:1 მარლიშვილი (65)
3:1 გოგიაშვილი (70)
4:1 ფანჩულიძე (82)

გაფრთხილება: ქობელაშვილი, ტყემალაძე
მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

XVIII ტური. 18 ივნისი

**კოლხეთი 5:1 დინამო**

ფოთი, სტადიონი კოლხეთი

კოლხეთი 1913: დევაძე, მიქაბერიძე (პაპავა 75), ლალანიძე, მაჭავარიანი, გოროზია, ცომაია, კიკლიაშვილი (ტორჩინავა 70), ბულუხია, ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე

დინამო: გვარამაძე, ი. ხუჯაძე, შ. ხუჯაძე, ქველაძე, კიკნაძე, ცქიტიშვილი, მაზიაშვილი, ტრაპაიძე, ნეფარიძე (გოგობერიშვილი 71), იაშვილი (კალაძე 71), ანჩაბაძე

1:0 ჯულელი (32)
2:0 მიქაბერიძე (56)
2:1 ანჩაბაძე (62)
3:1 ტორჩინავა (77)
4:1 დარასელია (85)
5:1 მაჭავარიანი (88)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

**დილა 0:2 ტორპედო**

გორი, ცენტრალური სტადიონი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ცხადაძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე (ქიტიაშვილი 65), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე (აკოფიანი 46), წკრიალაშვილი, ქერდიკაშვილი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე (გიორგობიანი 75), ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, ჭინჭარაძე, სადილიანი, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (თურმანიძე 85)

0:1 კვეტენაძე (32)
0:2 ვაჩიბერაძე (58)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

**გურია 2:4 ბათუმი**

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი

გურია: კუნჭულია, პაპავა, თევზაძე, იმნაძე, განიევი, მაჩიტიძე, კვინტრაძე, პატარაია, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე (ჭყონია 54)

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, სიხარულიძე, შეყილაძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ი. მახარაძე, ტულუში, კანტიძე

0:1 მახარაძე (6)
0:2 მაჭუტაძე (27)
1:2 თევზაძე (43)
2:2 პატარაია (70)
2:3 მაჭუტაძე (77 პ)
2:4 ტულუში (90)

მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

მარგვეთი — სამტრედია 0:3 (მარგვეთი არ გამოცხადდა), ივერია — შევარდენი 0:3 (ივერია არ გამოცხადდა)

### XI-XIX ადგილები

XVIII ტური. 16 ივნისი

**მეტალურგი 5:3 სამგურალი**

0:1 ვ. ჯანელიძე (9), 1:1 ვ. კილასონია (21), 1:2 ვ. ჯანელიძე (33), 2:2 გ. კილასონია (34), 3:2 კ. კილასონია (40), 4:2 არჩვაძე (41), 5:2 პერტია (60), 5:3 კიკალეიშვილი (63 პ).

**კახეთი 6:3 შუქურა**

1:0 დემეტრაძე (1), 2:0 ლ. ხორხელი (15), 3:0 ჭვრიტიძე (26), 4:0 სეფაშვილი (30), 5:0 დემეტრაძე (38), 5:1 ჩელებაძე (57), 5:2 ჩელებაძე (68), 6:2 სეფაშვილი (71), 6:3 გვიანიძე (80).

**მალაროელი 3:5 ალაზანი**

1:0 ნიკლაური (10), 1:1 [illegible] (15), 2:1 ნიკლაური (21), 2:2 [illegible] (50), 2:3 ლაცაბიძე (55), 3:3 პაპიძე (65), 3:4 [illegible] (70), 3:5 [illegible] (85).

**[illegible] 1:6 ოდიში**

0:1 გაბისონია (26), 0:2 გაბედავა (34), 1:2 ტყავაძე (40), 1:3 ახვლედიანი (63), 1:4 გაბისონია (74), 1:5 დარასელია (75), 1:6 ძალამიძე (84).

### მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

28-ე ტური. დურუჯი — ქართლი 3:0, ნაფარეული — შირაქი 4:1, მესხეთი — ჭაბუკიანი 1:0, არაგვი — ანცი 0:3, რკონი — ბახტრიონი 2:0, თორი — თეთრი არწივი 1:3, არმაზი 90 — მერანი-ბაჩო 5:4, არმაზი — მერანი 91 2:4, სიონი — კრწანისი-ზოოვეტი 1:2
29-ე ტური. შირაქი — თორი 0:1, ნაფარეული — რკონი 9:4, თეთრი არწივი — მესხეთი 3:0, მერანი 91 — არაგვი 0:0, კრწანისი-ზოოვეტი — არმაზი 7:0, ჭაბუკიანი — სიონი 0:0, ქართლი — ბახტრიონი 0:3, ანცი — არმაზი 90 1:0, მერანი ბაჩო — დურუჯი 1:5
30-ე ტური. ბახტრიონი — მერანი ბაჩო 3:0, დურუჯი — ანცი 2:0, მესხეთი — შირაქი 3:0, არაგვი — კრწანისი-ზოოვეტი 4:3, არმაზი 90 — მერანი 91 1:4, თორი — ნაფარეული 3:0, რკონი — ქართლი 3:0, არმაზი — ჭაბუკიანი 0:2, სიონი—თეთრი არწივი 0:1
31-ე ტური. კრწანისი-ზოოვეტი — არმაზი 90 1:2, შირაქი — სიონი 3:1, ანცი — ბახტრიონი 3:0, თორი — რკონი 5:2, მერანი-ბაჩო — ქართლი 3:0, ჭაბუკიანი — არაგვი 3:0, თეთრი არწივი — არმაზი 6:0, ნაფარეული — მესხეთი 2:4, მერანი — დურუჯი 0:1
32-ე ტური. ბახტრიონი — მერანი 91 0:1, დურუჯი — კრწანისი-ზოოვეტი 3:0, სიონი — ნაფარეული 9:3, არაგვი — თეთრი არწივი 1:3, მესხეთი — თორი 1:1, ქართლი — ანცი 0:3, ჭაბუკიანი — არმაზი 90 0:1, რკონი — მერანი-ბაჩო 4:4, არმაზი — შირაქი 3:3
33-ე ტური. ნაფარეული — არმაზი 5:6, შირაქი — არაგვი 4:0, თეთრი არწივი — არმაზი 90 4:2, მესხეთი — რკონი 3:0, ჭაბუკიანი — დურუჯი 1:2, ანცი — მერანი ბაჩო 4:0, კრწანისი ზოოვეტი — ბახტრიონი 3:0, მერანი 91 — ქართლი 3:0, თორი — სიონი 3:0
34-ე ტური. რკონი — ანცი 0:5, მერანი-ბაჩო — მერანი 2:4, ქართლი — კრწანისი-ზოოვეტი 0:3, ბახტრიონი — ჭაბუკიანი 3:0, დურუჯი — თეთრი არწივი 2:1, არმაზი 90 — შირაქი 2:4, არაგვი — ნაფარეული 3:0, არმაზი — თორი 3:0, სიონი — მესხეთი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დურუჯი | 34 | 29 | 2 | 3 | 82-21 | 89 |
| ანცი | 34 | 29 | 2 | 3 | 91-7 | 89 |
| თ. არწივი | 34 | 29 | 1 | 4 | 98-26 | 88 |
| კრწანისი | 34 | 17 | 5 | 12 | 70-52 | 56 |
| მესხეთი | 34 | 17 | 5 | 12 | 66-48 | 56 |
| მერანი-91 | 34 | 15 | 7 | 12 | 54-51 | 52 |
| ჭაბუკიანი | 34 | 16 | 3 | 15 | 59-39 | 51 |
| არაგვი | 34 | 15 | 3 | 16 | 53-57 | 48 |
| ნაფარეული | 34 | 14 | 2 | 18 | 71-82 | 44 |
| ბახტრიონი | 34 | 14 | 2 | 18 | 45-53 | 44 |
| არმაზი-90 | 34 | 12 | 7 | 15 | 65-63 | 43 |
| სიონი | 34 | 12 | 5 | 17 | 55-54 | 41 |
| თორი | 34 | 12 | 5 | 17 | 48-59 | 41 |
| მერანი-ბაჩო | 34 | 11 | 6 | 17 | 72-82 | 39 |
| რკონი | 34 | 10 | 2 | 22 | 54-97 | 32 |
| შირაქი | 34 | 9 | 4 | 21 | 43-90 | 31 |
| არმაზი | 34 | 8 | 7 | 19 | 48-88 | 31 |
| ქართლი | 24 | 2 | 2 | 30 | 13-94 | 8 |

დამატებითი მატჩი პირველობისთვის: დურუჯი — ანცი 0:0 პ 4:3

დასავლეთი

25-ე ტური. უნივერსიტეტი — ანაკო 0:2, კოლხეთი — მეშახტე 2:0, ჩიხურა — ბახმარო 0:4, უქიმერიონი — ულუმბო 0:3, ეგრისი — იმერეთი 2:1, ჩხერიმელა — კახაბერი 1:3
26-ე ტური. კახაბერი — უქიმერიონი 3:0, იმერეთი — უნივერსიტეტი 3:0, ულუმბო — ჩიხურა 3:0, ანაკო — კოლხეთი 3:0, მეშახტე — ჩხერიმელა 3:0, გურია — ეგრისი 0:3
27-ე ტური. ჩიხურა — კახაბერი 0:4, ეგრისი — სულორი 2:1, უქიმერიონი — მეშახტე 0:3, კოლხეთი — იმერეთი 6:2, უნივერსიტეტი — გურია 3:0, ულუმბო — ბახმარო 2:3, ჩხერიმელა—ანაკო 0:0
28-ე ტური. ანაკო — უქიმერიონი 3:0, მეშახტე — ჩიხურა 3:0, სულორი — უნივერსიტეტი 2:1, გურია — კოლხეთი 0:3, კახაბერი — ულუმბო 3:0, იმერეთი — ჩხერიმელა 2:0
29-ე ტური. კახაბერი — ბახმარო 2:1, ულუმბო — მეშახტე 0:3, ჩიხურა — ანაკო 0:3, უქიმერიონი — იმერეთი 0:3, ჩხერიმელა — გურია 3:0, კოლხეთი — სულორი 1:0
30-ე ტური. ბახმარო — ეგრისი 0:0, სულორი — ჩხერიმელა 3:0, იმერეთი — ჩიხურა 3:0, ანაკო — ულუმბო 4:1, მეშახტე — კახაბერი 4:3, გურია — უქიმერიონი (ორივეს წაგება ჩაეთვალა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 26 | 22 | 2 | 2 | 69-24 | 68 |
| ანაკო | 26 | 22 | 1 | 3 | 60-17 | 67 |
| მეშახტე | 26 | 17 | 4 | 5 | 61-25 | 55 |
| კოლხეთი | 26 | 17 | 2 | 7 | 54-28 | 53 |
| კახაბერი | 26 | 13 | 2 | 11 | 47-23 | 41 |
| ბახმარო | 26 | 12 | 5 | 9 | 54-42 | 41 |
| უნივერსიტ. | 26 | 12 | 4 | 10 | 52-43 | 40 |
| ჩხერიმელა | 26 | 11 | 4 | 11 | 52-41 | 37 |
| იმერეთი | 26 | 11 | 3 | 12 | 46-40 | 36 |
| სულორი | 26 | 8 | 6 | 12 | 36-44 | 30 |
| ულუმბო | 26 | 6 | 2 | 18 | 36-66 | 20 |
| გურია-2 | 26 | 4 | 3 | 19 | 20-57 | 15 |
| ჩიხურა | 26 | 3 | 2 | 21 | 16-67 | 11 |
| უქიმერიონი | 26 | 3 | 0 | 23 | 9-70 | 9 |

პირველ ჯგუფში გადასასვლელად: დურუჯი — ეგრისი 1:0


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29.
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, გამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)